საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№129 (6355) 25 ოქტომბერი 1990 წელი ხუთშაბათი ფასი 3 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს დღეები სოფლად

იღებენ მოსავალს

უამრავი საქმე და საზრუნავი აქვთ ჩვენი სოფლების მშრომელებს. ვიდრე ამინდი ხელს გვიწყობს, უნდა მოესწროს წლის მანძილზე დიდი შრომით მოწეული მოსავლის აღება-დაბინავება.

ვიდრე ყურძენი ჯერჯერობით კარგად არაა სიმწიფეში შესული, ქვედა ცაგერელი მშრომელები სიმინდის აღებას შეუდგნენ. საკმაო ფართობი—105 ჰექტარი უჭირავს აქ სამარცვლე სიმინდს. მშრომელები კარგ მოსავალს იწევენ ჭალის ფართობში, სადაც ყველაზე ადრე შევიდა სიმწიფეში ყანები.

ყანებს კარგად მოუვარეს და შემოდგომაც ბარაქიანი აქვთ ბუჭუ ახვლედიანს, გივი მუშკუდიანს, ბორის ბერიძეს, გრიშა შკუბულიანს და სხვებს, რომლებიც პირველები შეუდგნენ მოსავლის აღებას.

გ. შკუბულიანი.

საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები

ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა



საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი **ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა** რეგისტრაციაში გაატარა საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ.

ემზარ კონსტანტინეს ძე გუგავა დაიბადა 1955 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერში. 1972 წელს დაამთავრა ცაგერის საშუალო სკოლა, იმავე წელს ჩაერიცხა თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1977 წელს ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.

1977 წელს მუშაობდა ცაგერის №91 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მასწავლებლად.

1977-1979 წლებში იმყოფებოდა სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

დემობილიზაციის შემდეგ 1979 წელს აირჩიეს საქართველოს კომკავშირის ცაგერის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, შემდეგ მდივნად.

1980-1986 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის ინსტრუქტორად და სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1986 წლის მაისიდან 1987 წლის ივლისამდე არის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭოს თავმჯდომარე.

1987 წლის ივლისიდან იმავე წლის ოქტომბრამდე არის საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის მეორე მდივანი.

1987 წლის ოქტომბერში ე. კ. გუგავა აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველ მდივნად, 1990 წლის ივლისში აირჩიეს რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ, სადაც მუშაობს დღემდე.

სკკპ წევრია 1980 წლიდან.

ჰყავს მეუღლე.

დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ.

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები

ამომრჩევლებმა კარგად იციან, რომ მე, როგორც საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, წამოყენებული ვარ საქართველოს კომუნისტური პარტიის პარტიული სიით. აქედან გამომდინარე ძირითადში ვიწონებ და მხარს ვუჭერ კომუნისტური პარტიის პროგრამაში ჩამოყალიბებულ ისეთ ამოცანებს როგორიცაა:

—საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, ეროვნული სახელმწიფო პოლიტიკური ინსტიტუტების (ჯარი, სამართალდამცავი ორგანოები, უშიშროების სამსახური და სხვა) ჩამოყალიბება.

—საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა, მათი უფლებებისა და პირად თავისუფლებათა სრული რეალიზაცია. სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დამკვიდრება.

—საქართველოს ტერიტორიაზე არსებული მთელი ეროვნული სიმდიდრის მხოლოდ და მხოლოდ რესპუბლიკის საკუთრებად აღიარება, საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და მეწარმეობის თავისუფლება.

ამასთანავე მიმაჩნია, რომ ბევრმა კონსტრუქციულმა და დამოუკიდებელი საქართველოსათვის მისაღებმა წინადადებამ მოიყარა თავი სხვადასხვა პარტიების საარჩევნო პროგრამებსა და დოკუმენტებში. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველსავე სესიაზე შეიქმნას სპეციალური სადეპუტატო კომისია, რომელიც დაამუშავებს აღნიშნულ წინადადებებს და შესაბამისი სახით წარუდგენს რესპუბლიკის პარლამენტს.

აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ მთელი ცხოვრება უნდა მოანდომო სწრაფვას უკეთესისაკენ, მაგრამ კონკრეტული უნდა ვიყოთ ამა თუ იმ ამოცანის გადაწყვეტის ჟამს.

აქედან გამომდინარე, არჩევის შემთხვევაში პარლამენტში მუშაობა დამეხმარება უფრო აქტიურად გადაწყდეს ჩვენი რაიონის წინაშე არსებული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, ეს შეეხება რაიონის ეკონომიკური პოტენციალის შემდგომ განმტკიცებას, დემოგრაფიული და ეკოლოგიური სიტუაციის რეგულირებას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების განუხრელ დაცვას.

ვანიჭებთ რა თავისუფალ საბაზრო ურთიერთობას განმსაზღვრელ მნიშვნელობას, ვალიარებთ საკუთრების ყველა ფორმის შეუზღუდავ განვითარებას, მიგვაჩნია, რომ რაიონში უნდა

(დასასრული მე-2 გვერდზე).

შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატებთან

მოახლოვდა პირველი, მრავალპარტიული არჩევნები. დაძაბული და პასუხსაგები დღეები აქვს ქართველ ხალხს. მიმდინარეობს დეპუტატობის კანდიდატთა წინასაარჩევნო შეხვედრები ამომრჩევლებთან.

22 ოქტომბერს სარაიონო კულტურის სახლში მოვიდნენ ამომრჩევლები, მათ შეხვდნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატები ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში — **მერაბ იოსების ძე გველესიანი, დიმიტრი სტეფანეს ძე ლეთოდიანი, ნაირა გერასიმეს ასული ცხვედიანი, გელა ისკანდერის ძე ჩარკვიანი და ჯემალ დავითის ძე საღინაძე.**

დეპუტატობის კანდიდატებმა ილაპარაკეს მოახლოებული პირველი მრავალპარტიული არჩევნების განსაკუთრებულობასა და დიდ მნიშვნელობაზე. ეროვნულ პარლამენტში ჯანსაღი ძალების არჩევის აუცილებლობაზე, ითქვა, რომ ამჟამად საქართველოში არსებული კატასტროფული ვითარება გვაფრთხილებს დიდი გონირებით, დაფიქრებით ავმაღლდეთ ვიწროპარტიულ და პირადულ ამბიციებზე, ამა თუ იმ პარტიის გამარჯვება არ უნდა იყოს თვითმიზანი, რადგან მხოლოდ ძალთა კონსოლიდაციით თუ მოეღება საქართველოს გასაჭირს.

დეპუტატობის კანდიდატებს უამრავი შეკითხვა დაუსვეს, რომელთაც გაეცა შესაბამისი პასუხები.

* * *

ასეთივე შეხვედრები გაიმართა ორბელსა და უსახელოში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო პროგრამის თეზისები

(დასასრული).

ჩამოყალიბდეს წარმოებისა და პროდუქციის რეალიზაციის ისეთი სისტემა, როდესაც უშუალოდ მწარმოებელი უკარნახებს დამამზადებელ ორგანიზაციას და არა პირიქით. შევეცდები, რომ როგორც მთიან რეგიონს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს რესპუბლიკის მთავრობამ, სადირექტივო ორგანოებმა. მეცნიერულ დონეზე უნდა დამუშავდეს და დამტკიცდეს ლეჩხუმის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური პროგრამა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საკადრო პოლიტიკის საკითხებს. საზოგადოებრივი აზრი და სახალხო არჩევანი უნდა გახდეს ყველა რაიონული დონის ხელმძღვანელის შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი. თავისთავად საქართველოს კომუნისტური პარტიის პროგრამაში ჩამოყალიბებული მოსაზრებები განსაზღვრავს იმას, რომ შეიცვლება მართვის არსებული ფორმები და სტრუქტურები. მიმდინარე მომენტების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი აზრის პროგნოზირებისა და შესწავლის მიზნით მიზანშეწონილად მიმაჩნია რაიონულ საბჭოსთან შეიქმნას შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც სოციოლოგიურ კვლევას აწარმოებს და შესაბამისად მოუმზადებს ნიადაგს რაიონული მასშტაბით გადასაწყვეტ ყველა ღონისძიებას, რაც მთავარია ასეთი ინსტიტუტის ჩამოყალიბება გამორიცხავს ერთეულთა გადაწყვეტილების დიქტატს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დემოგრაფიული სიტუაციის რეგულირების საკითხებს. აღნიშნული განსაკუთრებით ჩვენს რაიონში იჩენს თავს (ბოლო ათ წელიწადში რაიონის მოსახლეობა 4 ათასზე მეტი ადამიანით შემცირდა), მიგვაჩნია, რომ ადამიანების გარეშე ეკონომიკას ვერ ავაღორძინებთ, და განვითარებული ეკონომიკის გარეშე სტიქიური მიგრაციის პროცესებსაც ვერ შევაჩერებთ. სწორედ ამიტომ სჭირდება ამ შეუქცევად პროცესებს კომპლექსური მართვა.

მეცნიერულად უნდა მოხდეს ეკოლოგიური პროცესების გამომწვევი მიზეზების ექსპერტიზა და შესაბამისი რეკომენდაციების დამუშავება. მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს სტიქიით დაზარალებულთათვის გამოყოფილ ფინანსიურ ასიგნებათა და მატერიალურ საშუალებათა რაოდენობა.

ლოზუნგისა და პათეტიკისათვის არა, მაგრამ ღრმად მწამს: ლეჩხუმმა უნდა ილეჩხუმოს, ქართველმა უნდა იქართველოს და საქართველომ უნდა ნანატრ თავისუფლებას მიაღწიოს. მოვალე ვარ ყველაფერს ამას ვემსახურო, მოვალე ვარ მწამდეს ჩემი მშობლიური ლეჩხუმის და მასთან მთლად საქართველოს უკეთესი ხვალინდელი დღისა.

პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ

სამი დღეც და გაიმართება საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები. საბჭოთა კავშირის არსებობის ისტორიაში იგი პირველი მრავალპარტიული არჩევნებია. ამიტომ ამომრჩევლები დიდ ინტერესს გამოხატავენ მის მიმართ.

ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ არჩევნების შედეგების შე-

არჩევნების შედეგების შეჯამებისა და გამოქვეყნების წესი

ჯამების წესებს.

როდესაც 20 საათზე დამთავრდება ხმის მიცემა, საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტებად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა და სახეობა, მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე და მდივანი, უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომლებმაც მიიღეს ბიულეტენები.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას.

კომისია ცალ-ცალკე ითვლის ყუთებში არსებული სხვადასხვა ფერის ბიულეტენების ანუ ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობასა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას. ბათილად ცნობილი სხვადასხვა ფერის ბიულეტენები ცალ-ცალკე კონვერტში იდება და იმგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელ იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება.

კომისია ახარისხებს და ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისა და ყოველი პარტიული სიისათვის მიცემული ხმების რაოდენობას.

საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმების დათვლის შედეგებს და შეაქვს ოქმში, რომლის თითოეულ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი და ყველა საარჩევნო ბიულეტენი ეგზავნება შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, მეორე ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს პერსონალურად წარდგენილი კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებს.

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ადგენს: გამოყენებული ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას საარჩევნო ოლქში, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ხმის მიცემის მონაწილეთა რაოდენობას, თითოეული კანდიდატისა და თითოეული პარტიული [illegible] ხმების რაოდენობა[illegible]ლად ცნობილი [illegible] ბიულეტენების რაოდენობას.

საარჩევნო ოლქში პირველ ტურში არჩეულად ითვლება ის დეპუტატობის კანდიდატი, რომელიც მიიღებს არჩევნებში ხმის მიცემის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტს, თუ არჩევნები ჩატარებულად ჩაითვალა.

არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობა მიიღო საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტმა.

საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია არჩევნები ბათილად ცნოს იმ საარჩევნო უბნებში, სადაც მოხდა ამ კანონის უხეში დარღვევა. საჩივარი ასეთი დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა.

თუ არჩევნები ჩატარებულად არ არის ცნობილი, მაგრამ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმის მიცემის მონაწილეთა ხმების ნახევარზე მეტი, საოლქო საარჩევნო კომისია ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას: საოლქო საარჩევნო კომისიას შეუძლია საჭიროების შემთხვევაში დანიშნოს ხელახალი ხმის მიცემა მაშინაც, როცა ოლქში ან უბანში არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი.

თუ არჩევნები საარჩევნო ოლქში ჩატარებულად არ ჩაითვალა, საოლქო საარჩევნო კომისია ორი კვირის ვადაში ატარებს არჩევნების მეორე ტურს.

შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია პრესით, ტელევიზიითა და რადიოთი აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა

გამოქვეყნდა საქართველოს კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა.

საქართველოს კომპარტია არჩევნებში მონაწილეობს დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციის სახით. მაგრამ მის მიერ შემოთავაზებულ პროგრამას, მიზნებს და ამოცანებს არაფერი აქვს საერთო წარსულ სტერეოტიპებთან. ყველა სხვა პარტიასთან როგორც საქართველოში, ისევე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის, საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან იგი თავის ურთიერთობას ამყარებს თანასწორუფლებიან, პარიტეტულ საწყისებზე.

საქართველოს კომპარტიას მიაჩნია, რომ რესპუბლიკის ახალ პარლამენტში და, მაშასადამე, მთავრობაშიც, წარმოდგენილი უნდა იყვნენ მთელი პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები.

საქართველოს კომპარტიის წინასაარჩევნო პროგრამა ითვალისწინებს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის, სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვისა და საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საკანონმდებლო აქტების მიღებას, მისი მოქალაქეების სოციალურ დაცვას, საზოგადოების თითოეული წევრის თავისუფალი სულიერი განვითარებისათვის ყველა პირობის შექმნას. ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში გათვალისწინებულია მიღებულ იქნეს დეკლარაცია ავტონომიური ფორმირებების, აგრეთვე ყველა სხვა ხალხებისათვის, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული გარანტიების შესახებ.

ბაზრისკენ მიმავალი ძნელი გზა

ჩვენ უკვე მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ ბაზარზე გადასვლა გარდაუვალია. რომ მხოლოდ მას—ბაზარს—შეუძლია იხსნას ჩვენი შერყეული ეკონომიკა, რომელმაც სამწუხაროდ სახელი კვების პროდუქტებისა და საქონლის საყოველთაო დეფიციტით გაითქვა. უკვე განსაზღვრულია საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლის ვადები—მთელი პროცედურა არა უმეტეს 500 დღეს დაიკავებს. ეს დრო საჭიროა მთელი რიგი მოსამზადებელი ღონისძიებების განსახორციელებლად, რათა ჩვენი მოქალაქეები, რომელთაც არასოდეს უცხოვრიათ თავისუფალ ბაზრის პირობებში, ასე ვთქვათ, მისი დანახარჯებისაგან რაც შეიძლება ნაკლებად იქნან ტრავმირებული: ფასების ზრდა, უმუშევრობა, ზოგის გამდიდრება და ზოგისაც გალატაკება...

ერთ-ერთი მოსამზადებელი ღონისძიება გახდა ახლახანს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 1991 წლის 1 იანვრიდან ახალი შესასყიდი ფასების შემოღების შესახებ მზესუმზირაზე, შაქრის ჭარხალზე, ბამბაზე, სელის პროდუქციაზე, თამბაქოზე, ჩაის ფოთოლზე, პირუტყვისა და ფრინველის განსაკუთრებულ სახეებზე, რძეზე და ნაღებზე. საშუალოდ ისინი 32 პროცენტით გაიზარდა და სახელმწიფოს ეს 68,3 მილიარდი მანეთი დაუჯდება.

რას იზამ, ასეთ ღონისძიებებს სოფლის მშრომლები დიდხანს ელოდნენ. ხომ არავისთვისაა საიდუმლო, რომ სახალხო მეურნეობაში მიმდინარე ფასებისა

(დასასრული მე-4 გვერდზე)

საოლქო საარჩევნო კომისიაში

ამ დღეებში საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის მორიგმა სხდომამ შესული განცხადებების საფუძველზე შეამოწმა პარტიული სია, რომელიც წარადგინა საარჩევნო ბლოკმა „საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი“. როგორც სხდომაზე გამოცხადებულმა ამ შემოწმების შედეგებმა უჩვენა, გამოვლინდა საარჩევნო კანონის უხეში დარღვევები. ისე გამოვიდა, რომ სიებში უმართებულოდ შეტანილი დეპუტატობის კანდიდატების ამოღების შემდეგ, ასეთი კი თექვსმეტი აღმოჩნდა, მასში დარჩა 125 კანდიდატზე ნაკლები. ხელმძღვანელობს რა კანონის მოთხოვნით, კომისიამ გადაწყვიტა მოხსნას არჩევნებიდან ამ საარჩევნო ბლოკის პარტიული სია და, მაშასადამე, ყველა დეპუტატობის კანდიდატიც, რომლებიც დასახელებული არიან მისგან საარჩევნო ოლქებში.

აქედან გამომდინარე საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საოლქო-საარჩევნო კომისიამ საარჩევნო ბიულეტენიდან ამოიღო ბლოკის—„საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტია და მთიელთა კავშირი“ მიერ დასახელებული დეპუტატობის კანდიდატი ლეთოდიანი დიმიტრი (მიტუშა) სტეფანეს ძე. ამდენად იგი კენჭს აღარ იყრის საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში.

გზაგასაყარზე

ღღეი რამ

თავისუფლების გზების შესახებ

ძვირფასო ლეჩხუმელებო!

რაბან თქვენზე სულ უფრო ხშირად ვფიქრობ, ყველას უკვე ახლობლად, ლამის შინაურად გთვლით. ვიცი, ეს უფრო სურვილია, ვიდრე სინამდვილე, —სურვილი იმისა, რომ თითოეულ თქვენგანს ვესაუბრო, უშუალოდ მისგან გავიგო, პირადად რა აწუხებს და საერთო, საქვეყნო პრობლემათა გადაწყვეტის რომელი გზა მიაჩნია სწორად. ვწუხვარ, რომ ამ ჩემს სურვილს, ჯერჯერობით მაინც, ვერ ვასრულებ. მგონი, მიზეზი საპატიოა: სწორედ ახლა ვამთავრებთ საქართველოს ეკონომიკური განვითარების იმ კონცეფციას, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩემი ხელმძღვანელობით მუშავდება. მინდა ზოგი რამ გითხრათ მასზე იმ იმედით, რომ თქვენთვის ეს უინტერესო არ იქნება.

ფრაგმენტები სათაურით—„საქართველოს სრული ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფცია“—ჯერ კიდევ შარშან, აგვისტოს მიწურულს გამოვაქვეყნეთ გაზეთ „თბილისში“. თუ რა მთავარი გეზი და ორიენტაცია გვქონდა აღებული, ეს უკვე სათაურიდან ჩანს, იქიდან, რომ მასში სრულ დამოუკიდებლობაზეა მინიშნება, რომ არც აქ და არც მის მიმყოლ ტექსტში არც წამოგვცდენია „საქართველოს სსრ“, რომ ამით „საბჭოთა სოციალისტური“ სინამდვილეში თუ არა, ჩვენს ნაწერში მაინც მოვაცილეთ საქართველოს.

ეს იმ დროს, როცა რუსთაველის საზოგადოების კონცეფციაშიც კი, რომელიც იმავე თვეში გამოქვეყნდა, ეს „სსრ“ წამდაუწუმ თვალში ეჩხირება კაცს და „შეახსენებს“ ჩვენი სამშობლოს მიჯაჭვულობას სსრკ-ზე. აღარას ვამბობ „სამთავრობო კონცეფციაზე (იგი ცოტა ადრე გამოქვეყნდა). ამით სულაც არ მინდა ჩრდილი მივაყენო მათს შემქმნელ კოლექტივებს. ან კი რა მეთქმის, ავტორთა სამთავრობო ჯგუფში ხომ თვითონაც ვმონაწილეობდი! სხვათა შორის, უნაყოფოდ არ მიმაჩნია ის მუშაობა. მგონი რომ ჯგუფმა რეალური ნაბიჯი გადადგა წინ, მიუთითა ზიანზე, რაც საქართველოს ეკონომიკას მოუტანა საბჭოთა სისტემამ. მანაც და რუსთაველელებმაც ბიძგი მისცეს მეცნიერულ ძიებასა და დასაბუთებას ჭეშმარიტი დამოუკიდებლობის გზებისა. რა ვუყოთ, თუ ყველა სტერეოტიპი ვერ დაამსხვრიეს, შეცდომებიც დაუშვეს და ვერც ეს „სსრ“ მოიშორეს თავიდან.

სწორედ შექმნილით უკმაროების გრძნობამ მოგვაკიდებინა ხელი ახალი კონცეფციის დამუშავებას და დღემდე ვეჭიდებით. ვეჭიდებით უძირო და უნაპირო საქმეს, ვეჭიდებით იმიტომ, რომ ჩვენი სათქმელი გვაქვს და გვინდა იგი მივიტანოთ ხალხთან. ჩვენი სათქმელი გვაქვს საკუთრების საკითხშიც და ვფიქრობთ, ჩვენი პოზიცია უფრო ახლოსაა ხალხის გულისნადებთან, ვიდრე ჩვენი მომრავლებული პარტიებისა. განა არ გეჩვენებათ, რომ ეს პარტიები მეტისმეტად გაიტაცა კერძო საკუთრების იდეამ?

მე უპარტიო ვარ. ამას ხაზს იმიტომ კი არ ვუსვამ, რომ არცერთი პარტია არ მომწონს, არამედ იმიტომ, რომ ჩემთვის ერთნაირადაა ძვირფასი რუსთაველის საზოგადოება, სახალხო ფრონტი, მრგვალი მაგიდა თუ სხვა პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელნიც მამულისათვის გულმხურვალედ იბრძვიან. ხოლო მათი შეხედულებების სხვადასხვაობა ნუ შეგვაშფოთებს, ეს ცუდი კი არა, კარგია, ჭეშმარიტება მხოლოდ აზრთა ჭიდილში იბადება. ბრალი იმისი, ვისაც აზრი საერთოდ არ გააჩნია, ვისაც თავისი თავი არ ადგას მხრებზე და მთელი ცხოვრება თავმჯდომარის ნამღერის მისამღერს მღერის. ბრალი ჩვენი ასეთი ხალხი ისევ თუ ბევრი მოხვდა ჩვენს პარლამენტში. თორემ სხვადასხვა აზრის, მაგრამ მამულის მოყვარული და საერთო მიზნით ანთებული ხალხი უთუოდ გამონახავს საერთო ენას, ერთიმეორეს ან დაარწმუნებენ, ან დაუთმობენ.

იმას მოგახსენებდით, ჭეშმარიტება კამათში იბადება-მეთქი. საქართველო დღეს გზაგასაყარზეა და რაღა გასაკვირია, თუ უამრავი აზრი ჩნდება იმაზე, რომელ გზას უნდა გავუყვეთ. რაღა გასაკვირია, თუ ჩვენი სახელმწიფო და საკოლმეურნეო საკუთრების უნიათობის მოწმეებმა, დასავლეთისკენ დავიწყეთ ცქერა, დასავლური წყობილებით, დასავლური გამოცდილებით დავინტერესდით. მაგრამ ბევრს ისე წარმოუდგენია, რომ კერძო საკუთრება ჩვენთანაც ერთბაშად ისეთ კეთილ ნაყოფს მოიხსამს, როგორსაც დღეს იქ მიირთმევენ, იმ ქვეყნების ისტორიას, მათ მიერ ტანჯვით გავლილ გრძელ გზას აღარ უყურებენ. არც იმას უყურებენ, რომ კერძო საკუთრების მქონე ყველა ქვეყანა როდია აყვავებული. იმაზეც ხომ უნდა ვიფიქროთ, ვის ჩაუვარდება ხელთ საქართველოს ის ქონება, დღეს სახელმწიფოს რომ ეკუთვნის. თუ კერძო პირთა ხელში მის საყოველთაო გადაცემას შევუდგებით, რა ქაოსის მორევში ჩაგვითრევს ეს კერძო საკუთრება, რა მტრობასა და სიძულვილს დათესავს; ან დაუდგებიან კი წინ ჩვენი ახალგამომცხვარი კერძომესაკუთრენი უცხოურ კაპიტალს? ქარს ხომ არ გაატანენ დამოუკიდებლობაზე ოცნებას?

სხვათა შორის, კერძო საკუთრების მოწინააღმდეგე არც მე ვარ: კაცს უნდა ჰქონდეს უფლება ააშენოს, იყიდოს, გაყიდოს საწარმო—პატარა საწარმოც და დიდიც. მაგრამ ჩვენ კარგა ხანს ვერ მივალთ იქამდე, რომ ხალხის უმრავლესობას შევუქმნათ ამისი შესაძლებლობა. ამიტომ საკუთრების მთავარი ფორმა სხვა უნდა იყოს. სახელდობრ რომელი?

დღეს განვითარებულ ქვეყნებშიც აღარ ბატონობს ინდივიდუალურ—კერძო საკუთრება, მსხვილ საწარმოთა უმრავლესობა სააქციო კომპანიათა (საზოგადოებათა) ხელშია. სააქციო საზოგადოება კი, სახელწოდებიდანაც ჩანს, საზოგადოებაა, კოლექტივია, ყოველ შემთხვევაში, კერძოს და საზოგადებრივის შუალედური ფორმაა. უფრო ხშირად თავისი სიმტკიცის საფუძველს იგი იმაში ხედავს, რომ სხვადასხვა დარგში და სხვადასხვა საწარმოში აბანდებს კაპიტალს: თუ ერთმა დარგმა არ გაამართლა, ამართლებს მეორე, თუ ერთი საწარმო გაკოტრდა, მეორე ნახულობს მოგებას და სააქციო კომპანია კვლავ აგრძელებს არსებობასა და აყვავებას.

ჩვენი მთავარი დებულება ის არის, რომ ჩვენც უნდა გამოვიყენოთ სააქციო საზოგადოების ეს თვისება — კომპლექსურობა. გამოვიყენოთ და ეგებ გავაუმჯობესოთ კიდეც. სამეურნეო კომპლექსები, რომლებშიც შევა ადგილობრივი მნიშვნელობის სხვადასხვა წარმოება და ფასიანი მომსახურება, უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს სასოფლო, ქალაქად კი— საუბნო სააქციო საზოგადოებებს, რომელთა წევრი გახდება ყველა ადგილობრივი მცხოვრები: თითოეულ მათგანს მიეცემა აქცია—მოწმობა იმისა, რომ ერთ-ერთი მესაკუთრეა. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ათასი მანეთის აქცია მაინც ყოველ ადამიანს უფასოდ მიეცეს და კიდევ ათასი მანეთისა—შეღავათიან ფასად. მთელ მოსახლეობაზე გაანგარიშებით, ეს საქართველოს ეროვნული სიმდიდრის მეათედზე ცოტა მეტია. გარდა ამისა, უკვე რამდენიმე (10-20) სასოფლო და ქალაქად, — საუბნო სააქციო საზოგადოება გახდება ერთობლივი კოლექტიური მესაკუთრე სხვა ფაბრიკა-ქარხნებისა და მეურნეობებისა, რომლებიც ასეთივე შეღავათით უნდა გადაეცეს მათ. ამ გზით ხალხი უნდა გახდეს ჭეშმარიტი მეპატრონე ქონებისა, საბოლოოდ ამ გზით უნდა ჩამოყალიბდეს რაიონული, სამხარეო და, ეგებ, რესპუბლიკური საკუთრებაც, როგორც საკუთრება ადამიანისა, მათი ჯგუფებისა, მათი ტერიტორიული ერთობებისა. ხოლო თითოეული ადამიანი განაგებს თავისი ინდივიდუალური საკუთრების ბედს და მიიღებს აქედან სტაბილურ შემოსავალს, რომელიც მას არსებობის საშუალებას მისცემს ნებისმიერი გაჭირვებია დროს. პარტიები თავისი მოქმედების პროგრამაში ითვალისწინებენ სოციალური გარანტიების სახელმწიფო სისტემას. ეფაქრობ, სახელმწიფოს მხრივ დახმარება მაინც დახმარებაა, დამადლებულ ლუკმასავითაა, სოციალური გარანტია უწინარეს ყოვლისა თავისივე საკუთრებამ უნდა შეუქმნას კაცს.

კარგა ხანს მოგვიწევს სახელმწიფო საკუთრების „უნარჩენობაც, მაგრამ მისი „ნასათი-მალანად უნდა ამოვაგლიჯოთ ჩვენ. მეორე არსებითი დებულება სწორედ ისაა, რომ სახელმწიფოს უნდა აეკრძალოს საწარმოთა უშუალო მართვა, იგი ვალდებული უნდა იყოს გასცეს ეს საწარმოები იჯარით (არენდით), გასცეს საჯაროდ და იმგვარი საკონკურსო წესით, რომელიც წაგავს აუქციონს. ასეთ პირობებში ყველა ადამიანს თუ ადამიანთა ჯგუფს (კოლექტივს) თანაბარი შანსი ექნება გახდეს მოიჯარე, დამოუკიდებლად გაუძღვეს მეურნეობას, რაც უნდა ის აწარმოოს, ვისგანაც უნდა იმისგან იყიდოს მასალა თუ ტექნიკა, ვისაც უნდა იმას მიჰყიდოს თავისი პროდუქცია. როგორც ვხედავთ, ეს წესი არ გამორიცხავს მეურნეობის კოლექტიურ გაძღოლას სახელმწიფო მიწაზე, მაგრამ არ გამორიცხავს არც ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებს. ვისაც როგორი წესი სურს, ისეთი უნდა აირჩიოს იმის შესაბამისად, თუ როგორია ბუნებრივი პირობები, ადამიანთა შრომითი ტრადიციები და ურთიერთობა, რა სახის მეურნეობას ეწევიან და ასე შემდეგ.

რას მეტყვით თქვენ, ძვირფასო ლეჩხუმელებო?! მოგწონთ თუ არ მოგწონთ ასეთი ფორმები საკუთრებისა? თქვენი აზრი ამის შესახებ ჩემთვის არანაკლებ დასაფასებელია, ვიდრე ჩემს სასარგებლოდ მოცემული ხმა. ეგებ ისეც მოვახერხოთ, რომ რაიონის მოსახლეობასთან და ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ეკონომიკის ინსტიტუტმა პირველად სწორედ ლეჩხუმში განახორციელოს ჩვენი ეს წინადადებები?! თუკი დაინტერესდებით, მომწერეთ მისამართზე: 380008, თბილისი, ბარნოვის 23. ამავე საკითხზე შეგიძლიათ გაეცნოთ ჩემს სტატიებსაც. ვისაც გაზეთი „თბილისი“ მოგდით, ეგებ თვალშიც მოგხვდათ ჩემი ვრცელი წერილი „კერძო თუ საზოგადოებრივი?“ იგი გაზეთის ოთხ ნომერში — 8, 9, 10 და 11 ოქტომბერს გამოქვეყნდა.

მერაბ გველესიანი,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე. საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი საქართველოს სახალხო ფრონტიდან ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში.

ვისაც უკეთესი საქართველო გინდათ

გირჩევთ ხმა მისცეთ №1 საარჩევნო ბლოკ „თავისუფლებას“.

იგი იბრძვის თავისუფალი, სამართლებრივი, დემოკრატიული საქართველოსთვის.

იბრძვის არა ძალადობით, ამბიციებითა და ურთიერთმტრობით, არამედ თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოსათვის მისაღები პოლიტიკური გზებით.

ბლოკ „თავისუფლებაში“ შემავალმა პარტიებმა: რესპუბლიკურ-ფედერალური. პარტია, „დას“-ი (დემოკრატიული არჩევანი საქართველოსთვის), ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტია, მწვანეთა პარტია, ეროვნული თანხმობის ასოციაცია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი და მათმა ლიდერებმა ბატონებმა ირაკლი შენგელიამ, რევაზ შავიშვილმა, მიხეილ ნანეიშვილმა, ზურაბ ყვანიამ, ალექსანდრე რუსეცკიმ და ირაკლი კაკაბაძემ დღემდე გაწეული მუშაობით დაამტკიცეს, რომ ღირსნი არიან იყვნენ საქართველოს პარლამენტში, იბრძოლონ უკეთესი საქართველოსთვის.

ძვირფასო ლეჩხუმელებო! გთხოვთ ხმა მიჰცეთ „თავისუფლებას“, ის საარჩევნო ბიულეტენში პირველი ნომრითაა აღნიშნული.

შემოხაზეთ №1.

ნაირა ცხვედიანი,
საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი.

მთავარია მოწოდებას მიაგნო

ყოველ ჩვენგანს ერთი რაღაცისადმი მაინც აქვს მიდრეკილება, რაც მის მომავალს განსაზღვრავს. მთავარია მიაგნო მოწოდებას, მთავარია არ შეგეშალოს. ამაში სხვა ვერ დაგეხმარება, თვითონ უნდა გაერკვე, თუმცა კაცის ბედი შეიძლება რაიმე, თითქოს უმნიშვნელო გარემოებამაც გადაწყვიტოს.

პარიკმახერი მამუკა მეგრელი განეკუთვნება იმ უხმაურო მუშაკთა რიცხვს, რომელთა საქმიანობა არ არის რეკლამირებული. ის არის ერთ-ერთი ჭეშმარიტი პროფესიონალი.

დღეს, როდესაც ასე გაძნელდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურება, რა მნიშვნელოვნად ეღერს სიტყვა—მოწინავე. მამუკა მეგრელი 7 წელია, რაც ორბელში არჩეული პროფესიით მუშაობს, ერთგულად, პატიოსნად და წესრიგიანად ემსახურება ხალხს. ამიტომაც არ უჭირს მიცემული დავალების შესრულება. წლის განვლილ 9 თვეში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ანგარიშზე 1530 მანეთის ნაცვლად 1551 მანეთი შეიტანა.

—დავალებას რომ ყველა უნდა ვასრულებდეთ, უწინარეს ყოვლისა, ეს ცხოვრების მოთხოვნაა. თუ სათანადო დისციპლინა—შრომის, საგეგმო, სახელმწიფო დისციპლინა არ გვექნა, როგორღა მოვიპოვებთ ეკონომიკურ ძლიერებას დამოუკიდებელ საქართველოშიო.—ასე სწამს ახალგაზრდა კაცს.

მამუკა მეგრელი მარტო პარიკმახერი როდია, საკარმიდამოსთან ერთად შარშან იჯარით აღებულ 1700 კვადრატულ მეტრ ვენახსა და 2000 კვადრატულ მეტრ სასიმინდეს უვლის. გული წუდება, რომ სხვისგან აღებული ზვარი ჯერ კიდევ ვერ გამოაბრუნა, წელს ვერა და, გაისად კი უხვ მოსავალს მივიღებო.

სამი შვილის მამა ახალმოსახლეობს. იგი პატიოსანი შრომის სიყვარულს უნერგავს შვილებს, რომლებიც ჯერ ორბელის საშუალო სკოლის მოსწავლეები არიან.

მოვალეობას რომ შეიგრძნობ, თამამად შეგიძლია თქვა, რომ საქმე ნახევრად გაკეთებულია. მთავარია ადამიანების წინაშე ვალდებულად ჩათვალო საკუთარი თავი და აკეთო ის, რაც შეგიძლია, ამბობს მამუკა.

ახალგაზრდა სპეციალისტს ვუსურვოთ წარმატება, კეთილგანწყობა იმათ მიმართ, ვისაც ასე სჭირდება მისი ოსტატობა, სითბო და კეთილი ღიმილი.

ბ. ბაძრაძე.

ბაზრისკენ მიმავალი ძნელი გზა

(დასასრული)

და ტარიფების ცვლილებები მატების მხრივ მომიჯნავე დარგებში, ტრანსპორტზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხებოდა თითოეული მეურნეობის ეკონომიკას, აიძულებდა მათ გაელოთ მსხვერპლი სოფლის სოციალური სფეროს განვითარებისათვის, უარი ეთქვათ მათი სიძვირის გამო დ ახალი ტექნიკის შეძენასა და სხვა მრავალზე.

და მართლაც, უკვე დიდი ხანია სოფლის მეურნეობა მრეწველობასთან თავის ურთიერთობაში ეკონომიკურად დაჩაგრულია. თუ მათს რენტაბელობას შევადარებთ, მრეწველობაში იგი შეადგენს საშუალოდ 15 პროცენტს, ხოლო სოფლის მეურნეობაში—9 პროცენტს.

რასაკვირველია, სახელმწიფო ბიუჯეტი უძირო კასრი როდია.

და ამჟამად გვთავაზობენ სხვადასხვა ვარიანტებს, რათა შევავსოთ იგი. მაგრამ როგორიც უნდა იყოს კვების ძირითად პროდუქტებზე საცალო ფასების მომატება—ეს კი თითქმის 30 პროცენტია — მოსახლეობისათვის მათი ექვივალენტური კომპენსაციის გარეშე იგი შეუძლებლად მიგვაჩნია.

უმნიშვნელოვანესი სიახლეა ისიც, რომ ამიერიდან შესასყიდი ფასები ყოველწლიურად კორექტირებული იქნება. ეს პროცესი სრულ[illegible] დემოკრატიულ[illegible] ბით წარიმართება რესპუბლიკებისა და რეგიონების აზრის გათვალისწინებით, ქალაქებსა და სოფლებს შორის სრული ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. მაგალითად, გადაწყვეტილია, რომ რუსეთში რძის შესასყიდი ფასები სხვადასხვა იქნება—საცხოვრებელ ზონებზე დამოკიდებული.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებო!

ეთერი დადაშის ასულ ჩაკვეტაძეს
მერაბ ჭიჭიკოს ძე ბენიძეს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, შვილთა სიმრავლეს დაემშვენებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

ნანული, გუშერ ბენიძეები, გულნაზი, სოზარი, მაყვალა, იური, გოგუცა, დუგლასი ომანაძეები.

გილოცავთ

მზია ალექსანდრეს ასულ სვანიძეს

გილოცავთ ქალიშვილის სამედიცინო ინსტიტუტში მოწყობას. კვლავაც მრავალი სიხარული განგეცადოთ თქვენი შვილებისაგან.

ამირან, მარინა, მაყვალა, მანანა კვირკაშვილები.

მარინე, მამუკა თვარაძეებს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი. შვილთა სიმრავლეს დაემშვენებინოს თქვენი ფეძე-ჭერი, გაელამაზებინოს ცხოვრება და მიზანი თქვენი!

მაყვალა, ციცინო ლიპარტელიანები.

დავით კაპიტონის ძე კოპალიანს!

გილოცავთ 60 წლის შესრულებას, გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ნაყოფიერ შრომით საქმიანობას სახალხო განათლების სფეროში. ნუ მოგკლებოდეთ სიხარული.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

მიშა სოფრომის ძე მიქაძეს

გილოცავთ 60 წლის შესრულებას, დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას გისურვებთ.

ძმისშვილები რაინდი, ლეილა და ლალი მიქაძეები.

ნინო ბერიძეს
ნუგზარ სალინაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

აგრომრეწვბანკის ცაგერის განყოფილების თანამშრომლები.

ნიუ-იორკიდან ინგლისში ... ბოთლით

ლონდონი. ყოფილი მედესანტე ტომ მაკლინი გახდა ისტორიაში პირველი ადამიანი, რომელმაც ატლანტიკის ოკეანე გადასერა... ბოთლით, ზუსტად ბოთლის ფორმის მისმა პატარა გემმა ფინიში დაასრულა ფოლმუტში (კორნუოლი), მრავალმილიან გადასვლას ნიუ—იორკიდან ინგლისამდე მან 37 დღე-ღამე მოანდომა. ნაპირთან მისვლისას ზღვაოსანს იახტებისა და კატერების ფლოტი მიესალმებოდა, ხოლო ნაპირზე მეუღლე და ორი შვილი. „გინესის რეკორდების წიგნის" მომავალ რეკორდსმენს ტრადიციისამებრ ბოთლი შამპანური მიართვეს.

47 წლის მაკლინი ზღვაოსნობის ვეტერანია. მან მარტოდმარტომ უკვე ოთხჯერ გადასერა ატლანტის ოკეანე. 1983 წელს—ყველაზე პატარა, თითქმის ორ მეტრზე ცოტა მეტი სიგრძის იახტით. 1987 წელს კი მან ნიჩბით ტრანსატლანტიკური გადასვლის სისწრაფის რეკორდი დაამყარა, და თითქმის 3 ათასი მილის მანძილი 54 დღეში დაფარა.

(საკდესი)

რედაქტორის მოადგილე
მ. ქნელაძე.

მეუღლე ნუცა, შვილები სპარტაკი, მაყვალა, ნანი, ძმა მიშა, და ფაფალა, რძალი გულო, სიძეები გიზო მშვილდაძე, ელგუჯა ხაზარაძე, ჟორა გუგავა, ვაჟა ხალიანი, შვილიშვილები ნათია, შოთიკო, თამრიკო, ნინო, დისშვილები, ძმისშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა ერმილეს ძე კვირკაშვილი

დაკრძალვა 28 ოქტომბერს, კვირას, სოფ. ჩხუტელში

ბიძაშვილები როდამი, კარლო კვირიკაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა ერმილეს ძე კვირიკაშვილი.

შოთა სალინაძე, ანზორ კვირკაშვილი, კუკური, გურამ ბერიძეები, ბუჩუ გურული, შალვა ყურაშვილი, ნორა კოპალიანი, გრიშა ბენდელიანი თანაუგრძნობენ დადაში, ზურაბ ჩაკვეტაძეებს სიძის

დადაში ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

აგროსამრეწველო გაერთიანების ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე საწარმოს მძღოლი

შალვა ერმილეს ძე კვირიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვლადიმერ ხეცურიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი

სანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თინა ბობოხიძეს ძმის

აკაკი იაკობის ძე თვარაძის

გარდაცვალების გამო.

რაიონის სამედიცინო საზოგადოება იუწყება, რომ გარდაიცვალა

დავით ყურაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

შოთა სალინაძე, ანზორ კვირკაშვილი ოჯახებით იუწყებიან

შალვა ერმილეს ძე კვირკაშვილის

გარდაცვალებას.

ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი თანაუგრძნობს ნანული, ნუშარი ლეთოდიანებს ძმისა და მაზლის

დადაში ალექსანდრეს ძე ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები: ზაურ მეშკუდიანი, ზაურ ჩიქოვანი, შურა ბერიძე, იური ბენდელიანი, მალაქი ლიპარტელიანი, გივი ლეთოდიანი, გერონტი ცვარიანი, ლუდუკი ბენიძე, ენგელი აფრიდონიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დადაში ლეთოდიანი.

ცაგერის მეფრინველეობის ფაბრიკის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ფაბრიკის ყოფილი დირექტორი

დავით გერასიმეს ძე ყურაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

სოცუზრუნველყოფის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ მაია და ჯონი ხალიანებს ბიძის

შალვა ერმილეს ძე კვირკაშვილის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის სახ-დაზღვევის ინსპექციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ თემური ჩაკვეტაძეს ბიძის

დადაში ალექსანდრეს ძე ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

სოსო სილაგაძე, გრიშა, გენადი, მურადი, როლანდი კვირიკაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა ერმილეს ძე კვირიკაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი ნათესავები: ზურაბ, შალვა, მურთაზ, გუჯუ, ანეტა სვანიძეები, დოდო, სოსო, ვახტანგ, ანზორ, სოზარ კვირკაშვილები, ჟორა, ლიონერ მეშველიანები, ჯაბუ, რეზო ტვილდიანები, ნაზი ლიპარტელიანი, ამირან გვიშიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა ერმილეს ძე კვირკაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

თანაკლასელები: მზია ფალავანდიშვილი, ქუქუნა შკუბულიანი, სონია ბუაძე, ოთარი ყურაშვილი, ოთარი სილაგაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

შალვა ერმილეს ძე კვირკაშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

რაიპოლიკლინიკა-საავადმყოფოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ დარეჯან ლეთოდიანს ბიძის

დადაში ლეთოდიანის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა აქსენტის ძე ხალიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

შალვა ერმილეს ძე კვირიკაშვილი.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის —22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.